ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

24 / ნოემბერი / 2023 წ.

KA020124842085523

№ 1-1/464

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის კურორტების განვითარების სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის № 572 დადგენილების პირველი მუხლისა და „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვალის № 70 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის კურორტების განვითარების სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოები:

ა) ემბლემა ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბლანკი ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;

გ) ოფიციალური კორესპონდენციის/წერილის ბლანკი ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - კურორტების განვითარების სააგენტომ უზრუნველყოს ამ ბრძანების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3.

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან დავითაშვილი